

ჰომეროსის ეპოსი და სიყვარული ტროას ომში

HOMER'S EPIC AND LOVE IN THE TROJAN WAR

ნინო გვენეტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nino Gvenetadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ჰომეროსი თავის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“ გვამღერებს საშუალებას, განვსაზღვროთ, როგორი იყო მისი და, საერთოდ, იმ ეპოქის ქალისადმი დამოკიდებულება, რომელსაც თავად ეპიკოსი ეკუთვნოდა (ძვ. წ. VIII ს.), ან კიდევ, დიდი ომებისა და დიდი სამეფოების იმ გმირული ხანის, რომლის აღდგენასაც ჰომეროსი ცდილობს და რომელიც კლასიკურ ფილოლოგიაში მიკენურ ხანად და ტროას ომის ეპოქად სახელდება (ძვ. წ. XVI-XIII სს.).

ქალის სტატუსისადმი ძველი და ახალი დამოკიდებულების შეპირისპირებამ და გვერდიგვერდ წარმოჩენამ მისცა პოეტს საშუალება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპლექსური და ფართო განცხადებები გაეკეთებინა. წარმოდგენილ ნაშრომში კვლევას წარვმართავთ კონკრეტული დეტალების თუ განშტოებების ჩვენებით, რათა დავაფიქსიროთ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ტროას ომში ქალისადმი დამოკიდებულების, ემოციების, სიყვარულის მოტივის დამუშავების ხარისხი. ამის ნათელყოფას მოვახდენთ იმ წყვილების საფუძველზე, რომლებიც ამოსავალი იქნება ტროას ომის დროს ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართების გასარკვევად. ეს წყვილებია: ჰექტორი – ანდრომაქე, ოდისეესი – პენელოპე, ალკინოე – არეთე, ალექსანდროსი – ელენე, მენელაოსი – ელენე, აგამემნონი – კლიტემნესტრა. წარმოდგენილი წყვილები ერთმანეთთან ცოლქმრული ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი. ეს არ არის გასაკვირი, რადგან პოემებში ასახული საზოგადოების, როგორც აქვეყნების, ისე ტროელების, ძირითადი ბირთვი არის ოჯახი, რომლის მთავარი და სრულფასოვანი წევრები არიან ქმარი, ცოლი და შვილები.

ჰომეროსი ცოლქმრული ურთიერთობის იდეალიზაციას ახდენს. მასთან ქალები ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციულ სახეს – უყვართ თავიანთი მეუღლეები, ასრულებენ ჩვეულ ვალდებულებებსა და

მოვალეობებს, ზრუნავენ შვილებსა და ქმრებზე. მიუხედავად ამისა, ჰომეროსის დამოკიდებულება ქალისადმი არის სრულიად ახლებური – მან ცოლისა და ქმრის დამოკიდებულება ისეთი რომანტიკული ურთიერთობის დონეზე აიყვანა, როგორც ლიტერატურაში კარგა ხანს აღარ განმეორებულა (საზოგადოებაში ისედაც არ იყო, სულ ცოტა, კლასიკურ ეპოქამდე – ძვ.წ. V-IV სს).

ჰომეროსს აინტერესებს არა ცალკეული მამაკაცი, თუნდაც, გამორჩეული გმირი იყოს იგი, ან ქალი, არამედ – მათი ურთიერთობა, თანაბარუფლებიანი პარტნიორობა, რომლებსაც აქვთ საერთო ტკივილი და ფიქრი მტრების მიმართ და საერთო სიკეთე მეგობრებისადმი. ჰომეროსის აშკარად დადებითი დამოკიდებულება არის იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც გათანაბრებულია ქალისა და მამაკაცის უფლებები ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, როგორი სიყვარულით საუბრობს ტროას მეფე, დიადი პრიამოსი, კოლხ ასულ ამაძონებზე, რომლებთან ერთადაც მან ბევრი ომი მოიგო და რომელთა დედოფლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების წესი მამაკაცური ჰქონდათ, ხშირად იყვნენ სიყვარულის ობიექტები.

საკვანძო სიტყვები: ჰომეროსი, ილიადა და ოდისეა, ტროას ომი. ოჯახური წყვილები.

ABSTRACT

In his works ‘Iliad’ and ‘Odyssey’, Homer offers insights into his attitudes toward women, reflecting the societal views of the period to which he belonged (8th century BCE). This also extends to the heroic age of great wars and powerful kingdoms, which Homer seeks to reconstruct, and which classical philology designates as the Mycenaean age and the era of the Trojan War (16th-13th centuries BCE).

By setting earlier and later conceptions of women’s status in deliberate contrast, the poet is able to articulate a set of nuanced and broadly resonant reflections on this topic. This study proceeds by examining selected textual details and thematic developments in order to assess how The Iliad and The Odyssey represent attitudes toward women in the context of the Trojan War, as well as how they construct emotional expression and the motif of love.

To clarify this issue, we will examine a series of couples who serve as the basis for understanding the dynamics between men and women during the Trojan War. These couples are: Hector and Andromache, Odysseus and Penelope, Alcinous and Arete, Alexander and Helen, Menelaus and Helen, and Agamemnon and Clytemnestra.

All of these couples are linked through marital bonds. This is hardly surprising, as the fundamental social unit depicted in the epics—both among the Achaeans and the Trojans—is the family, whose principal and fully recognized members are the husband, the wife, and the children.

Homer presents an idealized vision of marriage. In his epics, women preserve their traditional roles: they love their husbands, attend to their customary tasks and obligations, and care for their children and spouses. Yet Homer’s perspective on women is strikingly innovative, for he elevates the marital bond to a level of romantic

attachment that would scarcely be matched in later literature—and was absent in real social practice at least until the Classical period (5th-4th centuries BCE).

Homer is interested not in the isolated figure—whether an outstanding hero or a woman—but in the relationship between them: an equal partnership in which both share the same pains and anxieties toward their enemies and the same goodwill toward their friends. Homer’s unmistakably positive stance is directed toward a society in which the rights of women and men are balanced, both within the household and in society.

Particular attention should also be given to the affectionate tone with which Priam, the mighty king of Troy, speaks of the Colchian Amazon maidens with whom he won many battles, and whose queens—despite leading distinctly masculine lives—were often objects of romantic admiration.

Keywords: Homer, Iliad and Odyssey, Trojan war, married couples.

შესავალი

ჰომეროსის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“ საინტერესოდ არის გაშლილი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მოტივი. ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ პოემებზე დაკვირვებით, როგორია ქალისამდი ჰომეროსისა და იმ ეპოქის დამოკიდებულება, რომელსაც ჰომეროსი წარმოადგენს (ძვ. წ. VIII ს.), ან კიდევ, იმ დიდი ომებისა და სამეფოების გმირული ხანისა, რომლის აღდგენასაც ჰომეროსი ცდილობს. სწორედ ქალის სტატუსისადმი ძველი და ახალი დამოკიდებულების შეპირისპირებამ მისცა პოეტს საშუალება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპლექსური და ფართო განცხადებები გაეკეთებინა.

შევცდებით, კვლევა წარვმართოთ იმ დეტალებისა და განშტოებების ჩვენებით, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავაფიქსიროთ სიყვარულის მოტივის ხარისხი ჰომეროსის ეპიკურ პოეზიაში. ამის ნათელყოფას მოვახდენთ წყვილების საფუძველზე, რომლებიც ამოსავალი იქნება ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართების გასარკვევად. ეს წყვილებია: ჰექტორი – ანდრომაქე, ოდისეოსი – პენელოპე, ალკინოე – არეთე, ალექსანდროსი – ელენე, მენელაოსი – ელენე, აგამემნონი – კლიტემნესტრა.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია სამეცნიერო სფეროში ფართოდ გავრცელებული და აღიარებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინდუქციური და დედუქციური მეთოდების, დაკვირვებისა და ემპირიული მიდგომების ერთობლიობას.

მსჯელობა

ჰომეროსი ცოლქმრული ურთიერთობის იდეალიზაციას ახდენს. მასთან ქალები ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციულ სახეს – უყვართ თავიანთი მეუღლეები, ასრულებენ ჩვეულ ვალდებულებებსა და მოვალეობებს, ზრუნავენ შვილებსა და ქმრებზე. შინ დაბრუნებულ მამაკაცებს ახვედრებენ ცხელ აბანოს, სასმელ-საჭმელს, აკმაყოფილებენ ქმრის სექსუალურ ჟინსა და ვნებებს. ამას აშკარად, სიყვარულით აკეთებენ და არა იძულებით, თუმცა საზოგადოებაში აშკარად მოკრძალებული ადგილი უჭირავთ.

საკმარისია გავიხსენოთ პასაჟები პოემებიდან: ჰექტორი, რომელიც ბრძოლის ველზე შიშის ზარს სცემს აქაველებს, მოქმედების წინა პლანზე VI წიგნში ჩნდება, როდესაც ის ბრძოლის ველს ტოვებს და ანდრომაქეს მოსანახულებლად მიდის, ეს პირველი მინიშნებაა იმის, რომ ანდრომაქე მის ცხოვრებაში უმთავრესი ფიგურაა (Rhoda 2016: 42; Michalopoulos 2022: 16). ჰექტორი სახლში ძალიან თბილი და მოსიყვარული მეუღლე და მამაა. იგი ანდრომაქეს პატივს სცემს, უყვარს, მისი მეგობარი და პარტნიორია და არა მბრძანებელი. როცა ბრძოლის ველზე გასვლის წინ ანდრომაქეს ეწვია გამოსამშვიდობებლად, ქალი დიდხანს ცდილობდა დაეყოლიებინა ქმარი, არ შეებოდა მტერს: „ნუ წახვალ, დარჩი, შემიბრალე, ნუ დამიოხლებ შვილს და შენს ცოლსაც ნუ დატოვებ ქვრივ-ოხრად“ (ილიადა 4: 429-439). ანდრომაქეს შშობლები, ძმები აქილევესმა მოუკლა და იცის, ჰექტორიც ვერ გადაურჩება აქილევესის რისხვას. ჰექტორის არგუმენტი, როცა მოფერებით უარს ეუბნება ქალს სახლში დარჩენაზე, შემდეგია: „მე დღეს შემომეყურებს მთელი ტროა. ყველას ჩემი იმედი აქვს და მე არ შემიძლია მათ ვუღალატო, ან შენ გიღალატო და მტერს დავეუტოვო შენი თავი დასამცირებლად და შეურაცხყოფის მოსაყენებლად“ (ილიადა 4: 456).¹

მიუხედავად იმისა, რომ ქალს ჰომეროსის საზოგადოებაში შენარჩუნებული აქვს ტრადიციული სტატუსი – დაემორჩილოს მამაკაცს, ქალისადმი თავად ჰომეროსის დამოკიდებულება აშკარად ახლებურია. მან ცოლ-ქმრის ყოველდღიური ურთიერთობა რომანტიკის დონეზე აიყვანა. ეს კარგად ჩანს ჰექტორისა და ანდრომაქეს მაგალითზე. ჰექტორი იმ მთლიანი ოჯახის წარმომადგენელია, რომლის მწვერვალზეც დგას ანდრომაქე. ჰექტორი არის მეომარი, რომლის საგმირო კოდექსში ცოლის პოზიცია იზრდება. ამიტომაც უჭირს ჰექტორს იმის წარმოდგენა, რომ, ტროელების დამარცხების შემთხვევაში, აქაველები ანდრომაქეს „თან წარიყვანენ, როგორც თავიანთ მონას“ (ილიადა 4: 450-455).

ჰექტორის მიერ ცოლის ჩართვა მეომრის კოდექსში ზრდის ქალის სოციალურ ფუნქციას და, ამავე დროს, გარკვევით აფიქსირებს მისი შესაძლებლობების საზღვრებს.

თავის მხრივ, ანდრომაქესთვის ჰექტორი ყველაფერია: „მამაც, დედაც, ძმაც ერთადერთი, ქმარიც უბადლო“ (ილიადა 4: 429). საოცარი სიყვარული გამოხატულება არის ჰექტორისა და ანდრომაქეს გამომშვიდობების სცენა (ილიადა 4: 501-511).

ცოლქმრული ურთიერთობის იდეალიზაცია და სიყვარული კიდევ უფრო კარგად ჩანს ოდისევსისა და პენელოპეს მაგალითზე. ოდისევსისა და პენელოპეს ქორწინება არის ოჯახში თანაბარუფლებიანი პარტიორების თანამომადგენლობა. ეს კი, ოდისევსის აზრით, ყველაფერზე მაღლა დგას, „რადგან არაფერია უფრო ძლიერი და კარგი, ვიდრე ის, როცა კაცი და ქალი სახლში ცხოვრობენ ერთსულ და ერთხორც. მათ ერთი აქვთ ფიქრი – საერთო ტკივილი მტრების მიმართ და საერთო სიკეთე მეგობრების მიმართ“ (ოდისეა 6: 182-185).

ცოლქმრული ურთიერთობის ჰომეროსიული იდეალი ჩანს „ოდისეას“ 23-ე წიგნში, ე. წ. საწოლის სცენაში. საიდუმლო იცის მხოლოდ

¹ ციტატები მოგვყავს რომან მიმინოშვილის („ილიადა“) და ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის („ოდისეა“) თარგმანების მიხედვით

ორმა – ცოლმა და ქმარმა, რითაც ჰომეროსი ნათელყოფს არა ცოლისა და ქმრის სოციალურ როლს საზოგადოებაში, არამედ ორ ინდივიდს, ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ძალზე პიროვნულ და ინტიმურ ასპექტებს, რაც განსაზღვრავს კიდევ მათი, როგორც ერთიანი, მთლიანი კავშირის ჩამოყალიბებას. ამგვარი კავშირი კი ძლიერი გრძნობის გარეშე არასდროს დამყარდება.

აქ საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი – პენელოპესა და ოდისევსს აქვთ ერთნაირი ტემპერამენტი და შეიძლება აღვიქვათ ერთმანეთის ორეულად (Winkler 1998: 161; Felson 1994: 64). პენელოპე ისეთივე გამძლე, შეუპოვარი და ეშმაკია, როგორიც ოდისევსი. ისევე უმკლავდება ხიფათს და იგერიებს აბუხარ სასიძოებს (Pache 2020: 10), როგორც ოდისევსი გადალახავს ყველა საფრთხეს და შინ ბრუნდება. პენელოპეც გადალახავს ყველა წინააღმდეგობას და ქმარს ერთგულად ხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც არაფერში უდებს ტოლს პენელოპე ოდისევსს და თითქმის თანაბარია მათი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით, ასევე თანაბრად ექნებათ ერთმანეთის მიმართ გრძნობა, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ამიტომაც ურჩევნია ოდისევსს ულამაზეს ნიმფა კალიფსოსთან არხეინად ყოფნას და ბევრი ხიფათის გადალახვით შინ დაბრუნება – იქ ელოდება მისი ქვეყნის კვამლი და მისი საყვარელი პენელოპე. პენელოპეც დიდად არაფრად აგდებს ერთმანეთზე უკეთეს სასიძოებს და უამრავი ხრიკი მოიგონა მათი თავიდან მოსაშორებლად. იგი ნებისმიერ ფასად უნდა დალოდებოდა კაცს, რომელზეც 20 წლის განმავლობაში არაფერი სმენოდა, არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, მაგრამ ნამდვილი სიყვარულისთვის არ არსებობს არანაირი დრო და მანძილი.

უნდაშევეხოთ კიდევ ორ პერსონაჟს – ელენესა და მენელაოსს, რომელთაც ხშირად იშველიებენ, რომ ხაზი გაუსვან ჰომეროსის წარმოდგენას ქალის მაღალი სტატუსის შესახებ საზოგადოებაში. საინტერესოა, რომ პოემაში მენელაოსი მაღალ შეფასებას იღებს არა იმიტომ, რომ მამაცი და შეუპოვარია, არამედ იმიტომ, რომ „ელენეს ქმარია და ზევსის სიძე“ (ილიადა 4: 569). მენელაოსის დამოკიდებულება ელენესადმი არის ძალიან მოწიწებული და მიმტევებლური. იგი ცდილობს ქალის დაბრუნებას და დაცვას და არა – დასჯას. მენელაოსი მზად არის, აღადგინოს ქალის ყველა პოზიცია, რაც მას ძველად საბერძნეთში, მენელაოსთან ყოფნისას ჰქონდა. მენელაოსის ბრაზი ეხება მხოლოდ პარისს და არ ვრცელდება ელენეზე (ილიადა 3: 351-354).

რაც შეხება ელენესა და პარისის ურთიერთობას, თავად ელენე არც გრძნობს თავს დიდად დამწუხრებულად, მაგრამ მენელაოსის დანახვაზე გული უთრთოლდება. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას შეუძლია იყოს სიყვარულით ბედნიერი ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს. იგი შექმნა ზევსმა არა როგორც სიყვარულის ობიექტი, არამედ როგორც გამანადგურებელი სილამაზე (Rozier 2017: 1). პარისის გრძნობა მის მიმართ ალბათ უფრო ლამაზი ქალით მოხიზვლა და ვნებაა, ვიდრე ნამდვილი სიყვარული. სხვათა შორის, პარისის დამოკიდებულება ასეთივე სასხვათაშორისოა სამშობლოსადმიც და მისი მიზეზით ატეხილი ტროას ომიც დიდად არ ანალვლებს. ასეთი პერსონაჟია – ქარაფშუტა, თავკერძა და უპასუხიმგებლო.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჰომეროსი ღალატს ნორმად მიიჩნევს. ამის მაგალითად ეს სტრიქონებიც გამოდგება, რომელსაც აგამემნონი მოღალატე კლიტემნესტრაზე წარმოსთქვამს: „სინდისგარეცხილ ქალზე ავი რა უნდა იყოს, ბოროტება რომ განუზრახავს სულით და გულით“ (ოდისეა 11: 427-428). თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა არის, როცა ჰომეროსი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის უარყოფით მხარეზე ამახვილებს ყურადღებას.

კლიტემნესტრასაც უყვარდა აგამემნონი, რაზეც მიაწიშნებს ის ფაქტი, რომ ქმრის ერთ დამახილზე გაჩნდა ავლისში იფიგენიასთან ერთად, ტროას ომის გამწვავებულ სიტუაციაშიც არ შეშინებია, ისე გაეშურა აგამემნონის ერთ დამახილზე, მაგრამ ეს გრძნობა, ვფიქრობთ, გაქრა რამდენიმე მიზეზის გამო: ვერ აპატიო აგამემნონს ავლისში მოტყუებით ჩაყვანა და იფიგენიას მსხვერპლად შეწირვა, ვერც – ზევრი საყვარელი, რომელთაგან ერთ-ერთი, კასანდრა, მიკენში, კლიტემნესტრასთანაც ჩაიყვანა; ქალი აშკარად მიეჩვია ათწლიან ძალაუფლებას და აღარ ეთმობა. კლიტემნესტრასაც რომ საყვარელი – ეგისტოსი ჰყავდა, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს პენელოპეს 20-წლიანი ლოდინისა და ერთგულების განცდას და მნიშვნელობას.

ცოლ-ქმარს შორის იდეალური ურთიერთობის მაგალითს ალკინოე-არეთეს ურთიერთობა წარმოადგენს ფეაკების ქვეყანაში, სადაც დედოფალი მეფის თანაბარ პატივშია. ალკინოემ მიაწიჭა ქალს პატივი, რომელიც ქმრის სახლში არც ერთ მეუღლეს არ ღირსებია არასდროს (ოდისეა 7: 66-67). სასახლეში მისული სტუმარი ჯერ დედოფალთან უნდა მივიდეს და თაყვანი სცეს, მერე – მეფესთან. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ფეაკების ქვეყანაში მატრიარქატია, არამედ იმიტომ, რომ თავად ალკინოეს სურს, მის გვერდით მყოფი ქალი ასეთ პატივში ჰყავდეს.

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ კოლხ მებრძოლ ასულებზე, ამადონებზე (ამორძალებზე), რომლებიც, ჰომეროსის მიხედვით, ქალურისა და მამაკაცურის სიმბიოზია – ისინი იბრძვიან მამაკაცებზე, მაგრამ ძალიან ლამაზები არიან და ხშირად ხდებიან სიყვარულის ობიექტები. ამ ეპიზოდს ეთმობა „ილიადაში“ რამდენიმე სტრიქონი.

მეფე პრიამოსი დგას ტროას გალავანზე. მის გვერდით არის ომის მიზეზი, მშვენიერი ელენე, რომელიც აქაველთა ლაშქრის ბელადებს რიგრიგობით წარუდგენს მამამთილს. იგი იგონებს, როგორ გაეშურა ახალგაზრდობისას მდინარე სანგარიოსის სანაპიროებთან, ვაზით განთქმულ ფრიგიაში, რათა დახმარებოდა, როგორც მოკავშირე, ატრევსისა და მიგონის ხალხს, რომლებიც შეიკრიბნენ იქ კაცთმოძულე ამადონების წინააღმდეგ საბრძოლველად. უზარმაზარი იყო ატრიდთა არმია, მაგრამ არც ისე დიდი, როგორიც ბედნიერმა ატრიდმა შეკრიბა ტროას კედლებთან (Walcot 1987: 17). მოგვყავს ეს ნაწყვეტი სრულად:

„ოდესღაც ვაზით სახელგანთქმულ ფრიგიას ვიყავ,
შევხვდი ფრიგიელთ, მარად რაშებზე ამხედრებულებს...
ბრძოლად იწევდნენ სანგარიოსის სანაპიროსთან,
მათს მხედრობაში მოკავშირედ მეც ვითვლებოდი.
ამადონები ჩვენ გვებრძოდნენ, კაცთმოძულენი“ (ილიადა 3: 180-189).

ამავე პოემაში ავტორი კიდევ ორ ეპიზოდს წარმოაჩენს ამადონთა თქმულებიდან. ჰექტორი ღმერთების მაცნის, ირისის, მიერ შთაგონებული, ჯარს შეკრებს ფეხმსუბუქ ამადონად წოდებულ მირინეს საფლავთან:

“ქალაქთან ახლოს, ველის პირას, ერთი ბორცვი დგას,

აქეთ-იქიდან შეიძლება შემოუარო,

ბატიეის ემახიან ოდითვე კაცნი,

ხოლო უკვდავნი - ფეხმსუბუქი მირინეს საფლავს” (ილიადა 811 ff).

ბოლო პასაჟში კი ჰომეროსი ახსენებს ბელეროფონისა და ამადონთა შერკინებას მას შემდეგ, რაც ღმერთების სასწაულით გამხსნეველმა გმირმა სძლია საზარელ, ალის მფრქვეველ ქიმერას:

“ეომა ომ ნაცად ხალხს, განთქმულ სალომებს,

ბრძოლა ასეთი საშინელი არც მომსწრებია...

მესამედ შეხვდა მამაკაცთა მსგავს ამადონებს” (ილიადა 179 ff) (Mayor 2014: 302).

წარმოდგენილ პასაჟებში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე შტრიხზე. დავიწყებთ იმით, რითიც ჰომეროსი იწყებს: „გაოცდა მეფე“. რას უნდა გამოეწვია პრიამოსის გაოცება აგამემნონის ლაშქრის დანახვაზე? საქმე ისაა, რომ, უძველესი აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ტროელები და აქაველები ოდესღაც ერთად იბრძოდნენ ხეთების წინააღმდეგ, რადგან, ბერძნული ტრადიციით, მათ აკავშირებდათ ნათესაური ძაფები. ამდენად, პრიამოსის გაოცება ალბათ ნიშნავდა იმას, რომ ერთ დროს ატრიდები მისი მეგობრები იყვნენ და ახლა მის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამავე ტომების მოკავშირეთა არმია (ფრიგიელების დამატებით) შეიკრიბა ტროას ომამდე სანგარიოსის სანაპიროზე ამადონების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ განედევნათ თავიანთი ტერიტორიიდან. საგულისხმოა, რომ ტროას ომის ციკლში ამადონები ხშირად ტროელებისა და პრიამოსის მოკავშირეებად სახელდება.

აქვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ამადონთა დედოფლების მიმართ ჰომეროსი იყენებს შემდეგ ეპითეტებს: კაცთმსგავსნი ანკაცთმოძულენი/αντιαειραι(ილიადა 3: 182); ფეხმსუბუქნი/πολυσκαρτμοιο (ილიადა 2: 811); მშვენიერნი / Ομορφος (ილიადა 2: 184).

მოტანილი ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ამადონები არიან ძლიერები, რადგან ა. მცირერიცხოვან ამადონთა წინააღმდეგ საბრძოლველად ფრიგიელებს მოკავშირეთა ლაშქარი სჭირდებათ; ბ. არ შეუშინდნენ გმირ ბელეროფონთან შერკინებას; გ. ჰომეროსი მათ მიმართ იყენებს ეპითეტს მამაკაცთმსგავსი; დ. ამადონები არიან პატივდებული ღმერთებისგან და ადამიანებისგან და მათ საფლავებს წმინდა ადგილებად რაცხენ, ხოლო სახელებს კრძალვით იხსენიებენ.

მიუხედავად ამისა, ჰომეროსი აშკარად ხაზს უსვამს ამადონთა კიდევ ერთ თვისებას – ისინი ძალიან ლამაზები არიან (Whalley 2010: 30; Strehie 2022: 300), განსაკუთრებით დედოფლები, როგორც, მაგალითად, მირინე, ჰიფსიპილე და სხვები და ისინი ხშირად ხდებიან მამაკაცთა მხრიდან სიყვარულის ობიექტები. ცნობილი ფაქტია, რომ აქილევესი ჰიფსიფილესთან შერკინებისა და დამარცხების შემდეგ აღმოაჩენს, რომ ქალს ებრძოდა დამისი სიმამაცით და სილამაზით ისე მოიხიბლება, გარდაცვლილი დედოფალი შეუყვარდება და დიდხანს დასტირის მამაც, ლამაზ ქალ-ამადონს.

დასკვნა

ამგვარად, ჰომეროსი ცოლქმრული ურთიერთობის იდეალიზაციას ახდენს. მასთან ქალები ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციულ სახეს – უყვართ თავიანთი მეუღლეები, ასრულებენ ჩვეულ ვალდებულებებსა და მოვალეობებს, ზრუნავენ შვილებსა და ქმრებზე. მიუხედავად ამისა, ჰომეროსის დამოკიდებულება ქალისადმი არის სრულიად ახლებური – მან ცოლისა და ქმრის დამოკიდებულება ისეთი რომანტიკული ურთიერთობის დონეზე აიყვანა, როგორიც ლიტერატურაში კარგა ხანს აღარ განმეორებულა (საზოგადოებაში ისედაც არ იყო, სულ ცოტა, კლასიკურ ეპოქამდე – ძვ. წ. V-IV სს).

ჰომეროსს აინტერესებს არა ცალკეული მამაკაცი, თუნდაც გამორჩეული გმირი იყოს იგი, ან ქალი, არამედ – მათი ურთიერთობა, თანაბარუფლებიანი პარტნიორობა, რომლებსაც აქვთ საერთო ტკივილი და ფიქრი მტრების მიმართ და საერთო სიკეთე მეგობრებისადმი. ჰომეროსის აშკარად დადებითი დამოკიდებულება არის იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც გათანაბრებულია ქალისა და მამაკაცის უფლებები ოჯახშიც და საზოგადოებაშიც.

ჰომეროსი არსად ახსენებს სიტყვებს: მიყვარხარ, სიყვარული (მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს ჰქონდათ სიყვარულის გამოსახატავად 4 ზმნა: *Philia*, *Eros*, *Storge* and *Agape*), მისი გმირები ერთმანეთს არ უხსნიან სიყვარულს და ჰომეროსი არ გვაჩვენებს მათ ემოციებს, მაგრამ ჩვენ მიერ წარმოდგენილ წყვილებში ეს გრძნობა აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ, რაზეც მიგვანიშნებს მათი ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, ერთგულება, ერთსულ და ერთხორც ყოფნა. ასეთია ჩვენ მიერ დანახული სიყვარული ჰომეროსის პოემებსა და ტროას ომში.

მხატვრული ლიტერატურა

Homer 1919: Homer, *Odyssey*. Translated by A. T. Murray. Cambridge, 1919. Published by “Harvard University Press”.

Homer 1924: Homer, *Iliad*. Translated by A. T. Murray. Cambridge, 1924. Published by “Harvard University Press”.

თარგმანები

ჰომეროსი 2013ა: ჰომეროსი, ილიადა. თარგმნა რომან მიმინოშვილმა. თბილისი, 2013. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ჰომეროსი 2013ბ: ჰომეროსი. ოდისეა. თარგმნეს: თამაზ ჩხენკელმა და ზურაბ კიკნაძემ. თბილისი, 2013. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

სამეცნიერო ლიტერატურა

Felson 1994: Felson R., *Regarding Penelope: From Character to Poetics*. Princeton, 1994. Publisher “Princeton University Press”.

Mayor 2014: Mayor A., *The Amazons: Lives and Legends of Warrior Women across the Ancient World*. Princeton, 2014. Publisher “Princeton University Press”.

Michalopoulos 2022: Michalopoulos A., *On Greek and Roman Love Poetry*. UK, 2022. Publisher “Cambridge University Press”.

Pache 2020: Pache C., *Family and Marriage in Homer*. UK, 2020. Publisher “Cambridge University Press”.

Rhoda 2016: Rhoda A., *Compassionate Love in Homer's Iliad*. Ghana, 2016. Publisher "University of Ghana".

Rozier 2017: Rozier C., *Tradition and Character: Helen's Divine Epithets in the Iliad*. *Syllecta Classica*, t. 28. USA, 2017, pg. 1-23.

Strechie 2022: Strechie M., *Elite Female Fighters: The Amazons*. *Journal of Romanian Literary Studies*, t. 29. Germany, 2022, pg. 299-306.

Walcot 1987: Walcot P., *Romantic Love and True Love: Greek Attitudes to Marriage*. *Ancient Society*, t.18. Belgium, 1987, pg. 5-33.

Whalley 2010: Whalley J., *On the Bravery of Women: The Ancient Amazon and Her Modern Counterparts*. Kelburn 2010. Publisher "Victoria University of Wellington".

Winkler 1990: Winkler J., *The Constraints of Desire: The Anthropology of Sex and Gender in Ancient Greece*. New York, 1990. Publisher "Routledge".

Fiction

Homer 1919: Homer, *Odyssey*. Translated by A. T. Murray. Cambridge, 1919. Published by "Harvard University Press".

Homer 1924: Homer, *Iliad*. Translated by A. T. Murray. Cambridge, 1924. Published by "Harvard University Press".

Translations

Homer 2013a: Homer, *Iliad*. Translated By Roman Miminoshvili. Tbilisi, 2013. published by "Bakur Sulakauri Publishing House".

Homer 2013b: Homer, *Odyssey*. Translated By: Tamaz Chkhenkeli and Zurab Kinadze. Tbilisi, 2013, published by "Bakur Sulakauri Publishing House".

Scientific literature

Felson 1994: Felson R., *Regarding Penelope: From Character to Poetics*. Princeton, 1994. Publisher "Princeton University Press".

Mayor 2014: Mayor A., *The Amazons: Lives and Legends of Warrior Women across the Ancient World*. Princeton, 2014. Publisher "Princeton University Press".

Michalopoulos 2022: Michalopoulos A., *On Greek and Roman Love Poetry*. UK, 2022. Publisher "Cambridge University Press".

Pache 2020: Pache C., *Family and Marriage in Homer*. UK, 2020. Publisher "Cambridge University Press".

Rhoda 2016: Rhoda A., *Compassionate Love in Homer's Iliad*. Ghana, 2016. Publisher "University of Ghana".

Rozier 2017: Rozier C., *Tradition and Character: Helen's Divine Epithets in the Iliad*. *Syllecta Classica*, t. 28. USA, 2017, pg. 1-23.

Strechie 2022: Strechie M., *Elite Female Fighters: The Amazons*. *Journal of Romanian Literary Studies*, t. 29. Germany, 2022, pg. 299-306.

Walcot 1987: Walcot P., *Romantic Love and True Love: Greek Attitudes to Marriage*. *Ancient Society*, t.18. Belgium, 1987, pg. 5-33.

Whalley 2010: Whalley J., *On the Bravery of Women: The Ancient Amazon and Her Modern Counterparts*. Kelburn 2010. Publisher "Victoria University of Wellington".

Winkler 1990: Winkler J., *The Constraints of Desire: The Anthropology of Sex and Gender in Ancient Greece*. New York, 1990. Publisher "Routledge".